**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**
**დადგენილება №01-05-04/168**

ქ. თბილისი — 26 ივნისი 2018

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგიერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით დამატებით გამოცხადებული კონკურსისათვის საკონკურსო კომისიის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების", უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 მაისის №01-05-04/125 და №01-05-04/127 დადგენილებებით, მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტსა და საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით გამოცხადებული დამატებითი კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის №01-05-04/98 დადგენილებით შექმნილმა შესაბამისი ჯგუფის საკონკურსო კომისიამ (II ჯგუფი და III ჯგუფი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** — **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** — **გ. სალუქვაძე**